



USAID
აშშ-ის საერთაშორისო განვითარების აგენტი

PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE



ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები



ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები

გაკვეთილების გეგმები მომზადებულია USAID-ის სამოქალაქო განათლების
პროგრამის ფარგლებში



USAID
ამერიკელი ხალხისგან

PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE



ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები

ავტორები:

ნინო გვარამაძე
ნინო ჭიაბიშვილი

რესურსი მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ რესურსში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრებათ ავტორებს და ის არ წარმოადგენს PH International-ის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

შესავალი

2022-2027 წლებში ორგანიზაცია PH International-ის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით, USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა ხორციელდება.

პროგრამის მიზანია მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, სამოქალაქო პროცესებში ჩართული ახალგაზრდების აღზრდა. პროგრამა ითვალისწინებს ტექნოლოგიების დანერგვას სამოქალაქო განათლების სწავლა-სწავლების პროცესში, სკოლაში დემოკრატიული კულტურის დანერგვის ხელშეწყობას, ბიზნესისა და სკოლების დაკავშირებას. საქართველოს მასშტაბით გაერთიანებული პარტნიორი ორგანიზაციები, პროგრამის ფარგლებში გადანაწილებული ფუნქციური დატვირთვით, ხელს უწყობენ მიზნის მიღწევას. სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი, როგორც პროგრამის პარტნიორი ორგანიზაცია, ხელს უწყობს სამოქალაქო განათლების სწავლებისა და სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა თანამშრომლობითი და სკოლაში დემოკრატიული პროცესების გაძლიერებას. ამ მიზნით, სხვა აქტივობებთან ერთად, ფორუმი ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს. წინამდებარე ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები ხელს უწყობს ინტერდისციპლინური სწავლების გაძლიერებას და მიზნად ისახავს მოსწავლეებში სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციების განვითარებას. ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები სარეკომენდაციო ხასიათისაა და განკუთვნილია სამოქალაქო განათლების, ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოენის, მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებისთვის. გაკვეთილის გეგმები ეხება საკითხებს: სახელმწიფო სიმბოლიკა, გლობალიზაცია, ღვისუფლება, დისკრიმინაცია,

გისურვებთ წარმატებებს!

ს ა რ ჩ ე ვ ი

გაკვეთილის გეგმა N1 „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკა“

საკითხი: საქართველოს სახელმწიფოს სიმბოლიკა / ჰიმნი

ინტეგრირება: მუსიკა

გაკვეთილის გეგმა N2 “გლობალიზაცია და საქართველო”

გლობალიზაციის საფრთხეები (მიგრაცია და იდენტობის დაკარგვის საფრთხე)

საკითხი: გლობალიზაციის საფრთხეები. კულტურული იდენტობა

ინტეგრირება: უცხო ენა

გაკვეთილის გეგმა N3 „თავისუფლება“

საკითხი: დისკრიმინაცია

ინტეგრირება: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

გაკვეთილის გეგმა N4 „მუსიკა და თავისუფლება“

საკითხი: თავისუფლება

ინტეგრირება: ქართული ენა და ლიტერატურა / მუსიკა

გაკვეთილის გეგმა N5 „ოჯახი“

საკითხი: ოჯახის როლი

ინტეგრირება: ისტორია/ქართული ენა და ლიტერატურა

**გაკვეთილი 1. საქართველოს სახელმწიფოს სიმბოლოკა /
ჰიმნი**

საგანი	მოქალაქეობა	მუსიკა
კლასი	IX	
თემა	ცენტრალური ხელისუფლება	სოციალური კატაკლიზმები მუსიკაში;
საკითხი	საქართველოს სახელმწიფოს სიმბოლოები. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი	
გაკვეთილის მიზანი	სახელმწიფო ჰიმნის რაობის, მნიშვნელობისა და განწყობის გააზრება. საკანონმდებლო ბაზის გაცნობა. სახელმწიფო ჰიმნის გაცნობა	
საკვანძო შეკითხვა	<ul style="list-style-type: none"> • რა არის სახელმწიფოს სიმბოლოები? • რატომ სჭირდება სახელმწიფოს სიმბოლოები, კერძოდ, ჰიმნი? • რაზე მეტყველებს საქართველოს სახელმწიფოს ჰიმნების ისტორია? • რა სამართლებრივი დოკუმენტებით რეგულირდება სახელმწიფოს სიმბოლოები და მათი გამოყენება? 	რატომ არის სახელმწიფოს სიმბოლოებს შორის მუსიკალური ნაწარმოები?
წინა გაკვეთილზე გავლილი მასალა	სახელმწიფო და მისი არსი, სახელმწიფოს ნიშნები	ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“

აქტივობა N - სახელი და აქტივობა	აქტივობის მიზანი	აქტივობის მსვლელობა	რესურსი
N1. გაკვეთილის მიზნის გაცნობა	მოსწავლეები გაეცნონ გაკვეთილის მიზანს, გაუაქტიურდეთ წინარე ცოდნა	მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს ზეპირსიტყვიერად და წერილობით; მაგალითად, კედელზე აკრავს დიდ ფურცელს, რომელზეც მიზანი წერია, ან ურიგებს ამობეჭდილი სახით; სთხოვს, გაიხსენონ წინა გაკვეთილზე განხილული სახელმწიფოს არსი და ნიშნები.	
N2. რა ვიცით ჰიმნის შესახებ	მოსწავლეთა ფოკუსირება სახელმწიფო სიმბოლოებსა და, კერძოდ, ჰიმნზე.	მასწავლებელი სვამს კითხვებს: <ul style="list-style-type: none"> - რა სიმბოლოები გააჩნია სახელმწიფოს? - რაში სჭირდება ეს სიმბოლოები სახელმწიფოს? - როგორ ფიქრობთ, როდიდან გვაქვს სახელმწიფოს ჰიმნი? მასწავლებელი ისმენს პასუხებს და არ რეაგირებს მათზე (არც ეთანხმება და არც უარყოფს პასუხებს).	
N3. ჰიმნის დაბადება - ჯგუფური სამუშაო	მოსწავლეები გაეცნონ ჰიმნის არსსა და მნიშვნელობას	მოსწავლეები 5 ჯგუფად იყოფიან (ან 5 წყვილად) და მათ მასწავლებელი სამუშაო ფურცლებს ურიგებს განსხვავებული ტექსტებითა და დავალებით; სამუშაოდ აძლევს 7-8 წუთს; პრეზენტაციას სამუშაო ფურცლების ნუმერაციის მიხედვით (1, 2, 3, 4, 5) წარმოადგენენ. მეორე პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ნაწყვეტს ასმენინებს სიმღერიდან „მხოლოდ შენ ერთს“ (დები იმხნელების შესრულებით); მასწავლებელი დავალებას აჯამებს.	სამუშაო ფურცლები (1-5) კომპიუტერი, ხმის გამაძლიერებლები (საჭიროების შემთხვევაში) „მხოლოდ შენ ერთს“ (დები იმხნელების შესრულებით)

			https://www.facebook.com/watch/?v=479089986654409
N4. საქართველოს სახელმწიფოს ჰიმნები. მასწავლებლის პრეზენტაცია	დამოუკიდებელი საქართველოს ჰიმნების გაცნობა	<p>მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნებზე „დიდება“ (ასმენინებს ნაწყვეტს) და „თავისუფლება“ (ასმენინებს ნაწყვეტს და სთხოვს, აუცილებლად ადგნენ ფეხზე). მოსწავლეებს შეუძლიათ, აყვინთ სიმღერას.</p> <p>მასწავლებელი სვამს კითხვებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - რა მისწრაფებები ჩანს პირველ ჰიმნში? - რა განწყობას ქმნის თანამედროვე ჰიმნი? 	<p>კომპიუტერი, პროექტორი, ხმის გამამდიერებლები (საჭიროების შემთხვევაში), პრეზენტაცია.</p> <p>საქართველოს 1918 წლის ჰიმნი „დიდება“</p> <p>საქართველოს ჰიმნი „თავისუფლება“</p>

<p>N5. ჰიმნი საქართველოს კანონმდებლობაში</p>	<p>სახელმწიფო ჰიმთან დაკავშირებული საკანონმდებლო დოკუმენტების გაცნობა</p>	<p>მასწავლებელი სვამს კითხვებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - რატომ ავდექით ფეხზე? - ვინ მოიგონა ეს წესი? - სად წერია ეს წესები? <p>მასწავლებელს ეკრანზე გამოაქვს საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ (3723-ლს, 14/11/2018) - თავი IV. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.</p> <p>მასწავლებელი განმარტავს, რომ ამ თავში განსაზღვრულია, თუ როდის, სად და როგორ უნდა შესრულდეს ჰიმნი; ასევე - როგორ ხდება მისი მოსმენა.</p> <p>საქართველოს ორგანული კანონის - საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ -დანართებში N4 და N5 მოცემულია კანონით განსაზღვრული ჰიმნის ტექსტი და მუსიკა.</p>	<p>კანონი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ</p> <p>ორგანული კანონის საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ</p> <p>დანართი N4 ,N5 საქართველოს ჰიმნი</p>
<p>საშინაო დავალების მიცემა</p>		<p>გაეცანით კანონის -საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ (3723-ლს, 14/11/2018) IV თავს - საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.</p> <p>დაფიქრდით, რისთვის არის საჭირო ეს წესები?</p>	

სამუშაო ფურცელი 1

შეიძლება, გქონდეს დიდებული ქალაქი, ქალაქების ერთობაც კი, მაგრამ არ გქონდეს სახელმწიფო; გქონდეს ენა და დამწერლობა, მრავალსაუკუნოვანი ისტორია, კულტურა, გყავდეს მხატვრები, კომპოზიტორები, მაგრამ არ გქონდეს არც გერბი, არც დროშა და არც ჰიმნი. ასეთი ვითარება იყო საქართველოში მე-20 საუკუნის დასაწყისში, როცა „საქართველო“ ჩანაცვლებული ჰქონდა „თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს“.

I მსოფლიო ომის (1914-1918 წლები). ტფილისის სავსეა სამხედროებით, გოლოვინის პროსპექტზე¹, ერთ-ერთ მდიდრულ რესტორანში უკრავს უცხოელი მუსიკოსებისაგან შემდგარი პატარა სიმებიანი ორკესტრი. იქვე მაღალი ჩინის ოფიცრები სადილობენ. რუსმა გენერალმა იმპერატორის სადღეგრძელო დალია და ორკესტრს რუსეთის ჰიმნი შეუკვთა. დაუკრეს. შემდეგ დაილია რუსეთის მოკავშირეების - საფრანგეთისა და ინგლისის - სადღეგრძელოები. ამ სახელმწიფოების ჰიმნებიც შეასრულეს.

„ქართული ჰიმნი!“ - ომახიანად შესძახეს ორკესტრს ქართველმა ოფიცრებმა, მაგრამ ასეთი ჰიმნი, ცხადია, არ არსებობდა - „ვინ აღირსებდა მაშინ საქართველოს ჰიმნს?“

მუსიკოსები შეშფოთდნენ, რაღაც გადაუჭურჩულეს ერთმანეთს, შემდეგ სწრაფად მოიმარჯვეს საკრავები და დარბაზში გაისმა „მხოლოდ შენ ერთს“. არავის კრინტი არ დაუძრავს, ერთ-ერთ სუფრასთან მჯდომი მწერალი შალვა² დადიანი სახტად დარჩა. შალვა დადიანი სახტად დარჩა იმიტომ, რომ ზუსტად იცოდა, რას ასრულებდა ორკესტრი.

დავალება

მოკლედ გააცანით კლასს ტექსტის შინაარსი და უპასუხეთ კითხვებს:

- რატომ არ ჰქონდა საქართველოს ჰიმნი პირველი მსოფლიო ომის დროს?
- როგორ ფიქრობთ, რატომ დარჩა სახტად შალვა დადიანი?

¹ გოლოვინის პროსპექტი - დღევანდელი რუსთაველის გამზირი

² შალვა დადიანი - ქართველი მწერალი, დრამატურგი, მსახიობი და თეატრის მოღვაწე

სამუშაო ფურცელი 2

ერთი სიმღერის ისტორია

1900 წელს ქუთაისის თეატრში ლადო მესხიშვილმა ბენეფისი გაუმართა მსახიობ ნუცა ჩხეიძეს. გადაწყვიტა, დაედგა კარეევის პიესა „უბედური ნაბიჯი“. პიესა შალვა დადიანმა თარგმნა. ტექსტის მიხედვით, ვაჟი კულისებიდან უმღერის ქალს - Тебе одной³. შალვა დადიანმა ეს ტექსტიც გადათარგმნა და დაარქვა „მხოლოდ შენ ერთს“. მელოდია ფოსტის მოხელემ, კ. სარჯველაძემ დაწერა. „მხოლოდ შენ ერთს“ გიმნაზიის მოწაფემ, დავით აკოფაშვილმა შეასრულა, რომელიც თბილისის ოპერის მომავალი მომღერალი გახლდათ. სიმღერა სწრაფად გავრცელდა ხალხში. დადიანის ტექსტი ასეთია:

**"მხოლოდ შენ ერთს, რაც რომ ჩემთვის
შთაუწერგავს მაღლიდან ღმერთს,
სიყვარული, სიხარული
მხოლოდ შენ ერთს, მხოლოდ შენ ერთს!
მხოლოდ შენ ერთს, რაც რომ ჩემთვის
მოუცია მაღლიდან ღმერთს,
ჰარმონია, პოეზია,
მხოლოდ შენ ერთს, მხოლოდ შენ ერთს!
ვისურვებდი, ვყოფილიყავ
სიყვარულის შემართებად,
სიცოცხლეშიც, საფლავშიაც
შენთან ერთად, შენთან ერთად"**

ცნობილია, რომ „მხოლოდ შენ ერთს“ ვანო სარაჯიშვილიც დიდი მხატვრული ოსტატობითა და გრძნობით მღეროდა (როგორც სოლოს, აგრეთვე დუეტადაც, სანდრო ინაშვილთან ერთად).

ერთხელ, როცა საქართველოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა სახელმწიფო ჰიმნი, მუსიკოსებმა ეს სიმღერა ჰიმნის ნაცვლად გამოიყენეს.

³ Тебе одной - მხოლოდ შენ ერთს

დავალება

გააცანით ტექსტი კლასს და ახსენით:

- რატომ დარჩა სახტად შალვა დადიანი?
- რატომ გამოიყენეს ეს სიმღერა ჰიმნის ნაცვლად?

სამუშაო ფურცელი 3

უჰიმნობის სევდა

უჰიმნობა, როგორც სახელმწიფოებრიობის დაკარგვით გამოწვეული უძლურება და ტკივილი, კარგად ჩანს ნანა მჭედლიძის უკვდავ ფილმში „პირველი მერცხალი“⁴. აკაკი ბაქრაძის თქმით (ალმანახი „კინო“, N2, 1978 წ), ფილმში მონათხრობი ამბავი სპორტული ისტორიის ჩარჩოს არღვევს და ერის თავგადასავლის ალეგორიად იქცევა.

„ერთ მხარეს, კარის წინ, ინგლისელები დგანან, მეორე მხარეს – „პირველი მარცხალი“, თითქოსდა განსაკუთრებული არაფერი ხდება, მაგრამ უცბად ინგლისელები იწყებენ სიმღერას. მღერიან ეროვნულ ჰიმნს. გუგუნებს ერის, ქვეყნის, სახელმწიფოს სადიდებელი. ვხედავთ იასონისა და მისი ბიჭების გაოგნებულ სახეებს. რა ხდება? ასეთი რამ მათ აქამდე არ ენახათ. რა უნდა იმღერონ პასუხად? არც სახელმწიფო აქვთ, არც ჰიმნი, არც არასოდეს ყოფილან ასეთ ვითარებაში. ისინი თამაშობენ ფეხბურთს. თამაშობდნენ იმიტომ, რომ უყვარდათ, ერთობოდნენ, სახელის მოხვეჭაც უნდოდათ. მართალია, ერთხელ ისინი ჟურნალ „ივერიაში“⁵ შეაქეს, მაგრამ ეს სასიხარულო იყო და მეტი არაფერი. ახლა კი უფრო რთული ალტერნატივა დადგა. ახლა საქმე მარტო მოგება არ არის. მოწინააღმდეგეს უნდა დაუმტკიცო, რომ შენც ერი ხარ და არა შემთხვევით შეკრებილი ჯოგი, რომელსაც, ავად თუ კარგად, ფეხბურთის თამაშიც უსწავლია. მეტოქის ჰიმნს პასუხი სჭირდება და „პირველი მერცხალიც“ მღერის.

⁴ ფილმში ასახულია ქართული ფეხბურთის პირველი ნაბიჯები მე-19 საუკუნის ბოლოს

⁵ ჟურნალი „ივერია“ - გამოდიოდა 1879-1885 წლებში

მართალია, ეს ჰიმნი არ არის, ხალხური სიმღერაა („აბა ულა...“), მაგრამ მთავარია ის, რომ ვაჟკაცურად ჟღერს...“ - წერდა აკაკი ბაქრაძე.

დავალება

ჩამოაყალიბეთ ჰიმნის დანიშნულება წაკითხული ტექსტის მიხედვით.

სამუშაო ფურცელი 4

ჰიმნების შესრულების ტრადიცია

ჰიმნს ჰიმნის შესრულებით უნდა უპასუხო - შენი ერის, შენი ქვეყნის სადიდებლით! სხვა შემთხვევაში, რა გამოდის? არ გაქვს სახელმწიფო, არ ხარ თავისუფალი! როგორც ერს, გაცხადებული არ გაქვს არც მისწრაფებები და არც ფასეულობები! გაურკვეველია, ვინ ხარ და რა გინდა!

ისტორიკოს ლაშა ბაქრაძის თქმით, ჰიმნების მასობრივად შესრულება მე-19 საუკუნის ტრადიციაა, ანუ იმ დროისა, როცა ყალიბდებიან, დღევანდელი წარმოდგენით, თანამედროვე ერები და სახელმწიფოები. სწორედ მე-19 საუკუნიდან სრულდება ჰიმნები მნიშვნელოვანი სახელმწიფო ღონისძიებების დროს, მაღალი სტუმრების მიღებისას, ეროვნულ დღესასწაულებზე და ა.შ. ჰიმნები ხშირად გარკვეული ტიპის მარშებია, საბრძოლო ტექსტები, რომლებსაც ომებში იყენებენ. ლაშა ბაქრაძის თქმით, ამის ყველაზე ნათელი მაგალითია [მარსელიეზა](#), რომელიც თავიდან რევოლუციურ-საომარი სიმღერა იყო. არის ქვეყნები, რომელთა ჰიმნებსაც ტექსტი არ აქვთ, მაგალითად,

[ესპანეთის ჰიმნი](#) La Marcha Real.

დავალება

- როდიდან დაიწყო ჰიმნების მასობრივად შესრულება?
- რას გამოხატავს ჰიმნები?

სამუშაო ფურცელი 5

„დღეს ყველაზე ძველ ჰიმნად, რომელიც იმღერება, ითვლება [ნიდერლანდის ჰიმნი](#) Het Wilhelmus, რომელსაც მე-16 საუკუნიდან მღერიან როგორც ეროვნულ ჰიმნს და სიმბოლოს. ჰიმნი წარმოგვიდგენია როგორც მუსიკისა და ტექსტის ერთობა. თუ ასე არ ჩავთვლით, ერთ-ერთ ყველაზე ძველ ჰიმნად იაპონელები მიიჩნევენ თავიანთ ტექსტს, რომელსაც მე-10 საუკუნიდან ასრულებენ. God Save the King/Queen - ეს არის [ბრიტანეთის ჰიმნი](#), რომელიც სხვა ქვეყნებმაც გადაიღეს სხვა ტექსტით - მაგალითად, პრუსიას ჰქონდა, შვეიცარიას ჰქონდა. ავსტრო-უნგრეთს ჰქონდა საიმპერატორო ჰიმნი, რომლის მუსიკაც ჰაიდნის დაწერილია და რომელიც წაიღეს გერმანელებმა თავიანთი ჰიმნისათვის. ეს ის დროა, როცა გერმანია ერთიანი არ არის და მისი ტექსტი დაიწერა ბრიტანელების მიერ დაკავებულ კუნძულ ჰელჰოლანდზე (ჩრ. ზღვა) 1841 წელს“, - ამბობს ლაშა ბაქრაძე.

თუმცა, არის ე.წ. არაოფიციალური ჰიმნებიც. ლაშა ბაქრაძე ნიმუშად ასახელებს Land of hope and glory ან Rule Britannia, რომელსაც ბრიტანელები მღერიან; ასევე, აშშ-იც - ოფიციალური ჰიმნის გარდა, არსებობს მთელი რიგი სიმღერებისა, რომლებსაც ამერიკელები მღერიან როგორც ეროვნულ სიმღერებს (თუნდაც, God Bless Amerika) ძალიან მნიშვნელოვან მომენტებში - ისტორიულ დღეებსა თუ დღესასწაულებზე.

დავალება

- მოკლედ გააცანით ტექსტის არსი თანაკლასელებს;
- უპასუხეთ კითხვაზე: თქვენი აზრით, რაზე მეტყველებს ტექსტიანი და უტექსტო ჰიმნების არსებობა საუკუნეების მანძილზე?

შენიშვნა მასწავლებლისთვის. ამ კითხვაში იგულისხმება, რომ ადამიანებს აქვთ მოთხოვნილება, მუსიკაში გამოხატონ ეროვნული მისწრაფებები.

მასალა მასწავლებლის პრეზენტაციისთვის

საქართველოს სახელმწიფოს ჰიმნი

ჰიმნი (ბერძ. hymnos - საზეიმო სადიდებელი სიმღერა): 1. საზეიმო სიმღერა, რომელიც სახელმწიფოს მუსიკალურ სიმბოლოს წარმოადგენს; 2. სახობო გალობა, ღვთაების სადიდებელი სიმღერა.

ჰიმნი არსებობს: სახელმწიფო, რელიგიური, რევოლუციური, სამხედრო და სხვ.

საქართველოს სახელმწიფოს პირველი ჰიმნი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე შეიქმნა.

„ჰიმნი პირველად 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს აჟღერდა. ამის შემდეგ იგი ნაწილობრივ გადაამუშავა სპეციალურმა კომისიამ და საბოლოო სახით 1919 წლის 26 მაისს, რესპუბლიკის შექმნის წლისთავზე შეასრულა ის დიდმა გუნდმა და ორკესტრმა. „დიდება“ ოფიციალურ ჰიმნად სპეციალური კონკურსის გარეშე გამოცხადდა”, - ვკითხულობთ ენციკლოპედიურ ლექსიკონში⁶.

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ რაღაც ერთ კვირაში „დიდება“ კოტე ფოცხვერაშვილმა საქართველოს სახელმწიფო თეატრშიც შეასრულა (2 ივნისი), რის შესახებაც იოსებ იმედაშვილის გაზეთი, „თეატრი და ცხოვრება“, წერდა:

„კომპოზიტორმა მოგვასმენინა ჰიმნი - „დიდება“ ... ნაწარმოები გმირული, მჭექარა, აღმაფრთოვანებელია, შიგადაშიგ თითქოს უცხოური მუსიკის გავლენა ემჩნევა... საზოგადოებამ ჰიმნი გაამეორებინა და დიდის ტაშით დააჯილდოვა კომპოზიტორი.“

კოტე ფოცხვერაშვილისთვის ჰიმნის მთავარი კრიტერიუმები ყოფილა: რიტმი, მელოდია და ჰარმონია, რომლებიც, მისი თქმით, უნდა შეესაბამებოდეს ხალხურ ეროვნულ სიმეტრიას.

„სიტყვები, ასე ვთქვათ, თარგმანი უნდა იყოს ჰიმნის მუსიკისა, ხოლო ჰიმნი უმთავრესად თავისი მუსიკით უნდა მეტყველებდეს,” - წერდა „დიდების“ ავტორი.

1. დიდება ზეცით კურთხეულს,

დიდება ქვეყნად სამოთხეს,

ტურფა ივერსა,

დიდება ძმობას, ერთობას,

⁶ მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი - გამოცემა 2005 წელს, გულბათ ტორაძის რედაქტორობით

დიდება თავისუფლებას,

დიდება სამარადისო

ქართველ მხნე ერსა!

2. დიდება ჩვენსა სამშობლოს,

დიდება ჩვენი სიცოცხლის

მიზანს დიადსა;

ვაშა ტრფობასა, სიყვარულს,

ვაშა შვებასა, სიხარულს,

სალამი ჭემშარიტების

შუქ-განთიადსა!

ეს ჰიმნი სრულდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც, 1991-2004 წლებში. 2004 წლის 21 მაისიდან კი საქართველოს ჰიმნად დამტკიცდა საქართველოს ეროვნული ჰიმნი „თავისუფლება“, რომლის ტექსტიც ყველა სახელმძღვანელოშია შეტანილი. ლექსის ავტორია დავით მადრაძე, მუსიკა - ზაქარია ფალიაშვილისა, ხოლო ჰიმნად იოსებ კეჭაყმაძემ დაამუშავა.

ტექსტში გამოყენებულია ნაწყვეტები ქართველი კლასიკოსების: აკაკი წერეთლის, გრიგოლ ორბელიანისა და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებიდან.

ჰიმნის მუსიკა ქართული კლასიკური მუსიკის ფუძემდებლის, ზაქარია ფალიაშვილის ოპერების - „ახესალომ და ეთერი“ (1918) და „დაისი“ (1923) - მიხედვით შეიქმნა, კომპოზიტორ იოსებ კეჭაყმაძის მიერ.

1. მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი - 2005 წ., რედაქტორი გ. ტორაძე
2. ჯიმშერ რეხვიაშვილი
<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%B0%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/30160916.html>
3. პირველი მერცხალი 1:03:30-1:04:16
4. <https://www.youtube.com/watch?v=LQwbYEWtfeM>
5. დიდება <https://nationalanthems.info/ge-04.htm>
6. თავისუფლება <https://nationalanthems.info/ge.htm>
7. საქართველოს სახელმწიფოს სიმბოლოები <http://margvelashviliarchive.info/ka/page/sakhelmcifo-simboloebi>
8. საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ (3723-ის, 14/11/2018), თავი IV. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4370734?publication=4>
9. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4368486?publication=0>

გაკვეთილი 2. გლობალიზაცია და საქართველო
გლობალიზაციის საფრთხეები (მიგრაცია და იდენტობის დაკარგვის საფრთხე)


საგანი	მოქალაქეობა	უცხო ენა
კლასი	XII	
თემა	საქართველო და გლობალიზაცია	
საკითხი	გლობალიზაციის საფრთხეები. კულტურული იდენტობა	
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლეებმა გაიაზრონ კულტურული იდენტობის დაკარგვის შესაძლებლობა, როგორც მიგრაციის თანმდევი საფრთხე და მისი თავიდან აცილების გზები	
საკვანძო შეკითხვა	რამდენად რეალისტურია კულტურული იდენტობის დაკარგვის საფრთხე? რა შეიძლება გაკეთდეს იდენტობის დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით?	რას ნიშნავს კულტურული იდენტობა? რა სიტყვები გახსენდებათ კულტურულ იდენტობასთან დაკავშირებით?
წინა გაკვეთილზე გავლილი მასალა	გლობალიზაციის არსი და საფრთხეები.	მინიმუმ B1 ან B1+ დონე

აქტივობა, N, სახელი და აქტივობა	აქტივობის მიზანი	აქტივობის მსვლელობა	რესურსი
N1. გაკვეთილის მიზნის გაცნობა 5 წთ	მოსწავლეები გაეცნონ გაკვეთილის მიზანს, გაუაქტიურდეთ წინარე ცოდნა	მასწავლებელი აცნობს გაკვეთილის მიზანს და სვამს შემდეგ კითხვას წინარე ცოდნის გასააქტიურებლად: გლობალიზაციის რა საფრთხეები გვახსოვს? რა ტიპის მიგრაციისაა ყველაზე გავრცელებული საქართველოში?	რესურსები მასწავლებლისთვის 1. საქართველო და გლობალიზაცია. გლობალური საფრთხეები 2. გლობალური საფრთხეები. მიგრაცია
N2. პიროვნული საფრთხეები. გონებრივი იერიში 5 წთ	მოსწავლეებმა გაიაზრონ პიროვნული საფრთხეები, რომლებსაც შეიძლება წააწყდეს ემიგრანტი.	მასწავლებელი წერს დაფაზე სიტყვებს „ემიგრანტის საფრთხეები“ და სთხოვს მოსწავლეებს დაასახელონ მოსალოდნელი საფრთხეები და თანმდევი განცდები. თუ საჭიროდ ჩათვლის, მასწავლებელს შეუძლია მიუთითოს, რომ „წარმატებული ემიგრაციის“ (ცხოვრების კარგი პირობები, პროფესიული წარმატება ...) დროსაც, არსებობს გარკვეული საფრთხე. პასუხების მიღების შემდეგ, მასწავლებელი გამოყოფს „წარმატებულ ემიგრაციასთან“ დაკავშირებულ საკითხებს.	
N3 კულტურული იდენტობა. ვიდეოს ჩვენება და მსჯელობა. 10 წთ	მოსწავლეებმა გაიაზრონ კულტურული იდენტობის არსი	მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს „იდენტობის“ განმარტებას. იდენტობა-ინდივიდის შინაგანი, საკუთარი თავის შესახებ შემუშავებული სუბიექტური კონცეფცია; საკუთარი თავის იგივეობის განცდა; ტერმინი გამოიყენება მიკუთვნებულობის გამოსახატავად ნებისმიერი ტიპის ჯგუფის მიმართ . მასწავლებელი აჩვენებს ვიდეოს ინგლისურ ენაზე (ქვემოთ იხილეთ რესურსი ფრანგული ენისთვის).	რას ნიშნავს კულტურული იდენტობა? (ინგლ)

		წინასწარ აფრთხილებს, რომ მოინიშნონ იდენტობასთან დაკავშირებული ტერმინები. მასწავლებელი სვამს კითხვას: კულტურული იდენტობის რომელი ელემენტების დაკარგვის საფრთხე არსებობს ხანგრძლივი ემიგრაციის დროს? რა ასაკის ემიგრანტებს ემუქრებათ ეს საფრთხე?	
N4 როგორ ავიცილოთ კულტურული იდენტობის დაკარგვის საფრთხე. ჯგუფური სამუშაო 20 წთ	მოსწავლეებმა გაიაზრონ თუ რის გაკეთება არის შესაძლებელი კულტურული იდენტობის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად.	მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს 3 ჯგუფად. პირველი ჯგუფი: მოიფიქრეთ რა უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა ხანგრძლივი ემიგრაციის დროს იმისათვის, რომ მან და მისი ოჯახის წევრებმა არ დაკარგონ კულტურული იდენტობა? აღწერეთ დაწვრილებით ქართულად, ხოლო ინგლისურ ენაზე დაწერეთ 1-3 თეზისი. მეორე ჯგუფი: რა უნდა მოიმოქმედოს სახელმწიფომ (სამშობლომ) იმისათვის, რომ შეუწყოს ხელი მის ემიგრაციაში წასულ მოქალაქეებს კულტურული იდენტობის შენარჩუნებაში? აღწერეთ დაწვრილებით ქართულად, ხოლო ინგლისურ ენაზე დაწერეთ 1-3 თეზისი. . მესამე ჯგუფი: წარმოიდგინეთ, რომ ემიგრაციაში ხართ. რა გზებით გააცნობთ თქვენს კულტურას მასპინძელი ქვეყნის მოქალაქეებს? ჯგუფების წარმომადგენლები წარადგენენ ნამუშევრებს კლასის წინაშე. აღწერეთ დაწვრილებით ქართულად, ხოლო ინგლისურ ენაზე დაწერეთ 1-3 თეზისი. .	დიდი ფურცლები, მარკერები.
N5 შეჯამება 5 წთ		მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და აღნიშნავს, რომ ნორმალურია, რომ ემიგრანტები ცდილობდნენ ინტეგრაციას მასპინძელ საზოგადოებაში, მაგრამ, ასევე, მნიშვნელოვანია	

		საკუთარი იდენტობის შენარჩუნება. ორივე ერთად ხელს უწყობს ტრანსნაციონალური იდენტობის წარმოშობას. თეზისები შეიძლება გამოიკრას კედელზე	
საშინაო დავალების მიცემა		მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ნახონ მხატვრული ფილმი „ფესვები“.	„ფესვები“
რეკომენდაცია მასწავლებლისთვის		ინტეგრირება შეიძლება მოხდეს მეორე უცხო ენასთანაც. მაგალითად, ფრანგული ენის მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ ვიდეო „La notion d'identité (s)-ს კულტურული იდენტობის ნაწილი 1:58 წთ-დან.	La notion d'identité (s)

გაკვეთილი 3. „თავისუფლება“

აღნიშნულ თემას შეიძლება დაუთმოს ერთი გაკვეთილი ან გამოიყენოს კომპლექსურ დავალებაზე  მუშაობისას ერთ-ერთ ეტაპად.

საგანი	მოქალაქეობა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
კლასი	VIII კლასი	
თემა	ინდივიდი და საზოგადოება (თემი, რომელშიც ვცხოვრობთ)	ადამიანი ხელოვნებაში (ადამიანის შინაგანი სამყარო)
საკითხი	დისკრიმინაცია	
გაკვეთილის მიზანი	<p>მოსწავლეები:</p> <ul style="list-style-type: none"> გააცნობიერებენ საკუთარ და სხვა ადამიანების უფლება-მოვალეობებს; გაუჩნდებათ განსხვავებული ადამიანების მიმართ თანაზიარობის გრძნობა და მათი დაცვის სურვილი. გააანალიზებენ ხელოვნების კონკრეტულ ნიმუშს, შეძლებენ მის ინტერპრეტაციასა და შეფასებას. 	
საკვანძო შეკითხვა	<p>რატომ სჭირდება ინდივიდს საზოგადოება და საზოგადოებას კი – ინდივიდი?</p> <p>რატომ არის მოვალეობები ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილი?</p> <p>როგორ შეუძლია ერთ ადამიანს საზოგადოებისა და ქვეყნისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება?</p>	<p>რატომ ქმნიან ადამიანები ხელოვნების ნიმუშებს?</p> <p>როგორ ზემოქმედებს ხელოვნება ადამიანსა და საზოგადოების ცხოვრებაზე?</p>

აქტივობა N, სახელი და ხანგრძლივობა	აქტივობის მიზანი	აქტივობის მსვლელობა	სასწავლო რესურსი
<p>N1 გაკვეთილის მიზნის გაცნობა</p> <p>დრო: 2 წუთი</p>	<p>მოსწავლეები გაეცნონ გაკვეთილის მიზანს, გაუაქტიურდეთ წინარე ცოდნა</p> <p><i>(თუკი გაკვეთილი კომპლექსური დავალების ფარგლებში ტარდება, მოსწავლე ამავე ეტაპზე იხსენებს დავალების პირობას)</i></p>	<p>მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს როგორც ზეპირად, ასევე წერილობით; მაგ., წერს დაფაზე, ან ამობეჭდილი სახით ურიგებს. შემდეგ კი განვლილი მასალიდან სვამს რამდენიმე შეკითხვას.</p> <ul style="list-style-type: none"> ● რატომ არის აუცილებელი უფლებებსა და მოვალეობებს შორის წონასწორობის დაცვა? ● რატომ არის მნიშვნელოვანი დაუწერელი წესები და მათი დაცვა? ● რა გავლენა აქვთ ინდივიდსა და საზოგადოებას ერთმანეთზე? <p>პასუხების მოსმენის პარალელურად, მასწავლებელმა შესაძლოა, დაფაზე დაწეროს მოსწავლეთა საკვანძო პასუხები.</p>	<p>დაფა, მარკერები</p>
<p>N2</p> <p>საკუთარი მრავალფეროვანი როლების გააზრება</p> <p>დრო: 5 წუთი</p>	<p>მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ განსხვავებულ როლებს, რომლებსაც ერთდროულად ასრულებენ, როგორც საზოგადოების წევრები.</p>	<p>მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს თაბახის ფურცლებს. სთხოვს ფურცლის შუაში დახაზონ წრე, ჩაწერონ საკუთარი სახელი, ხოლო წრიდან გამომავალ სხივებზე თითო სიტყვით დააბოლოონ „მე ვარ...“ (ეს შესაძლოა იყოს: მეგობარი, ადამიანი, ქართველი/აზერბაიჯანელი/სომეხი, შეყვარებული, ქრისტიანი/მუსლიმი/კათოლიკე, და/მმა, შვილი, მოქალაქე, მოსწავლე და სხვ.)</p>	<p>თაბახის ფურცელი ყოველი მოსწავლისთვის, პასტა</p>

<p>N3</p> <p>ადამიანთა მსგავსებასა და განსხვავებაზე დაფიქრება</p> <p>დრო: 10 წუთი</p>	<p>მოსწავლეები თვალსაჩინოდ დაინახავენ, რომ საერთო ბევრად მეტი აქვთ, ვიდრე განმასხვავებელი</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ორ წრეს: შიდა წრეს საერთო როლებისთვის, ხოლო გარეს – განმასხვავებლისთვის. მოსწავლეებს სთხოვს დაასახელონ სხივებზე ჩაწერილი საკუთარი როლები. მასწავლებელი შიდა წრეში წერს იმ როლებს, რომლებიც საერთო აღმოჩნდება მოსწავლეებისათვის, ხოლო გარეში – განსხვავებულ როლებს.</p>	<p>დაფა/პოსტერი, ცარცი/მარკერი</p>
<p>N4</p> <p>დამოუკიდებელი სამუშაო</p> <p>დრო: 5 წუთი</p>	<p>სხვისი ემოციების გაგება, თანაზიარობის გრძნობის განვითარება</p>	<p>მასწავლებელი ურიგებს სავარჯიშო ფურცლებს „ჩემი ისტორია“. სთხოვს გაიხსენონ და მოირგონ იმ ადამიანის ტყავი, რომლის დაცინვის მოწმეებიც გამხდარან და ისე შეავსონ ფურცელი.</p>	<p>დანართი N1</p>
<p>N4</p> <p>დისკუსია</p> <p>დრო: 10 წუთი</p>	<p>მოსწავლეები გაიაზრებენ დისკრიმინაციის მიზეზებს, განუვითარდებათ თანაზიარობის გრძნობა.</p>	<p>მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ისაუბრონ და გამოყონ ის ნიშნები, რითაც ისტორიის გმირი სხვებისაგან განსხვავდებოდა. (ეს შესაძლოა იყოს: ეთნიკური ჯგუფი, სოციალური სტატუსი, გონებრივი/ფიზიკური შესაძლებლობა, გარეგნობა, ხასიათი, აღმსარებლობა, ტრადიციები, ჩაცმის სტილი და ა.შ.).</p> <p>შემდეგ უსვამს შემდეგ საორიენტაციო შეკითხვებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • რისი შეცვლა შეუძლია ბავშვს ჩამოთვლილთაგან? (რამდენიმე პუნქტის გარდა (მაგ., ჩაცმის სტილი, რომელიც იმავდროულად ჩვენი იდენტობის ნაწილია და ამაზეც შეიძლება დააფიქროს მასწავლებელმა მოსწავლეები) ბავშვზე არაფერია დამოკიდებული, არაფრის შეცვლა არ შეუძლია.) • რას აკეთებდნენ სხვები? (შეურაცხყოფდნენ, დასცინოდნენ, დაჟინებით აკვირდებოდნენ, 	<p>დაფა/პოსტერი, ცარცი/მარკერი</p>

		<p><i>ამტერდებოდნენ, არად აგდებდნენ, ეცოდებოდათ, რიყავდნენ, მიკერძობებულად განსჯიდნენ.)</i></p> <ul style="list-style-type: none"> • რას აკეთებდა მასწავლებელი? ხედავდა თუ არა ამას? <i>(პასუხები განსხვავებული იქნება)</i> • რას გრძნობდა მსხვერპლი? <i>(დამცირებას, წყენას, შიშს, დაუცველობას, მარტობას, სასოწარკვეთას, ბრაზს)</i> • როგორ იქცეოდა საპასუხოდ - გადარჩენის რა სტრატეგია ჰქონდა? <i>(იზოლაცია, აგრესია, ჩაკეტილობა, მიზანდასახულობა, თვითმკვლელობის სურვილი, გამომწვევი მოქმედება/თვითრეკლამირება, შურისძიება, მფარველის ძიება).</i> 	
<p>N5 განზოგადება დრო: 5 წუთი</p>	<p>დისკრიმინაციის მიზეზებისა და შედეგების გააზრება და ერთმანეთთან დაკავშირება.</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე ხატავს ხეს სათაურით „დისკრიმინაციის ხე“.</p> <p>მოსწავლეებს სთხოვს ჩამოთვალონ ის მიზეზები, რომლებიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს დისკრიმინაციას. (მაგ., უცხო/უცხოების შიში, უცოდინრობა, თანაგრძნობის არქონა, სტერეოტიპები, სოციალური ფაქტორები და სხვ.) ამ სიტყვებს ხის ფესვებში წერს.</p> <p>შემდეგ სთხოვს ჩამოთვალონ დისკრიმინაციის შესაძლო შედეგები. (ეს შესაძლოა იყოს: პასიურობა, სუიციდი, აგრესია, კონფლიქტი, არარეალიზებულობა, ასოციალური ქცევა, მარტობა, კომპლექს/ები, ჩაგვრა, ძალადობა, გარიყულობა, უიმედობა, უმწეობა და სხვ.). შედეგებს წერს ხის ტოტებზე.</p>	<p>დაფა/პოსტერი, ცარცი/მარკერი</p>

<p>N6 ანიმაციის ჩვენება</p> <p>დრო: 12 წუთი</p>	<p>სტერეოტიპების, როგორც დისკრიმინაციის მიზეზის გააზრება.</p>	<p>მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ანიმაციას „Sneetches”, რის შემდეგ იმართება მსჯელობა შემდეგი საორიენტაციო კითხვების დახმარებით:</p> <ul style="list-style-type: none"> • რით დაიწყო ანიმაციის გმირების დაპირისპირება? • ვინ სცადა პრობლემის მოგვარება? • რა ინტერესი ჰქონდა პრობლემის „მომგვარებელს“? • როდის გაიაზრეს პრობლემის აბსურდულობა ანიმაციის გმირებმა? • რისი თქმა სურდა მხატვარს? • რა ხერხი გამოიყენა სათქმელის გასაზიარებლად? • რას იტყვოდათ საკუთარ ემოციებზე, ფიქრებზე? • შეძლო თუ არა მიზნის მიღწევა მხატვარმა? 	<p>ანიმაცია Sneetches</p>
<p>N7</p> <p>შეჯამება</p> <p>დრო: 3 წუთი</p>	<p>გაკვეთილის შეჯამება</p>	<p>მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს პატარა წებოვან ფურცლებზე ერთი წინადადებით დაწერონ, რა შეიძლება თითოეულმა მათგანმა გააკეთოს მშვიდობიანი და არამადლობრივი გარემოს ხელშესაწყობად და მიაკრან ფლიფჩარტზე.</p> <p>შეჯამებისას მასწავლებლებმა ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ მშვიდობიანი გარემოს შესანარჩუნებლად, გარდა დაწერილი კანონებით განსაზღვრული ვალდებულებებისა, მნიშვნელოვანია დაუწერელი კანონები და თითოეული მოქალაქის ინდივიდუალური მორალური პასუხისმგებლობა.</p>	<p>ფლიფჩარტის ქაღალდი, პატარა წებოვანი ფურცლები</p>

დამატებითი რესურსები:

- კომპასი, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებისთვის, (2005). გვ. 126–132
- ვაშაკმაძე მ., ბუღინგი, ანუ ნატკენი გულების ამბავი <https://www.radiotavisupleba.ge/a/marina-vashakmadze-blog-post/28148630.html>
- კაკაბაძე ი., ჩვენება <http://liberali.ge/articles/view/3780/chveneba>
- სარიშვილი მ., წერაქვი ისევ მამას ოთახში დევს <http://liberali.ge/blogs/view/32663/tseraqvi-isev-mamas-otakhshi-devs>
- სარიშვილი მ., ერთი მარცვალი მზესუმზირასავით <http://liberali.ge/articles/view/3797/erti-martsvali-mzesumzirasavit>

კომპლექსური დავალების პირობა

ცნება: ინდივიდი და საზოგადოება

წარმოიდგინეთ, რომ მხატვარი ხართ და გაქვთ მოსამზადებელი ერთ-ერთი [პოსტერი](#), [კომიქსი](#), ილუსტრირებული წიგნი, ფოტოგამოფენა, რომლის საშუალებითაც ინფორმაციას მიაწვდით მკითხველს ინდივიდისა და საზოგადოებისთვის მშვიდობიანი და არამალადობრივი გარემოს მნიშვნელობაზე.

ნაშრომში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- როგორია მშვიდობიანი გარემოს თქვენეული ხედვა?
- რა გავლენა აქვს მშვიდობიან და არამალადობრივ გარემოს ინდივიდისა და საზოგადოების განვითარებაზე?
- ვინ და როგორ უნდა შექმნას მშვიდობიანი გარემო?

დანართი N 1 „ჩემი ისტორია“

(ვირგებთ იმის ტყავს, რომელსაც ბავშვობაში დასცინოდნენ, ვფიქრობთ და ვავსებთ ფურცელს.)

ჩემი სახელია _____

მე მეძახიან _____


მე სხვებისგან გამოვიჩრევი იმით, რომ

ვინაიდან სხვებისგან განვსხვავდები, ჩემი თანაკლასელები (აღწერეთ ქცევა, მოქმედება)

მე ვგრძნობ

როგორ ვიქცევი საპასუხოდ, გადარჩენის რა სტრატეგია მაქვს


გაკვეთილი 4.

გაკვეთილი, შეიძლება, ცალკეც ჩატარდეს - დამოუკიდებელ გაკვეთილად, თუმცა, შესაძლოა, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას ერთ-ერთ ეტაპადაც გამოიყენოთ. 

საგანი	მოქალაქეობა	ქართული ენა და ლიტერატურა	მუსიკა
კლასი	IX კლასი		
თემა	ინდივიდი და საზოგადოება	ადამიანი და მისი ცხოვრება	მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში
საკითხი	თავისუფლება		
გაკვეთილის მიზანი	<p>მოსწავლეები:</p> <p>გააცნობიერებენ თავისუფლების არსსა და მის მნიშვნელობას ინდივიდისა და საზოგადოების განვითარებაში;</p> <p>გაუჩნდებათ თავისუფლების დაცვის პირადი პასუხისმგებლობის განცდა;</p> <p>განასხვავებენ სხვადასხვა შინაარსის გადმოსაცემად მუსიკის განსხვავებულ გამომსახველობით ხერხებს; აკადემიური და ხალხური მუსიკის ნიმუშებში განსაზღვრავენ მხატვრულ კონცეფციას.</p> <p>საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეძლებენ ტექსტის შეფასებას, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვასა და ახსნა-დასაბუთებას.</p>		
საკვანძო შეკითხვა	<p>რა არის თავისუფლება?</p> <p>სად არის თავისუფლება?</p> <p>მნიშვნელოვანია თუ არა თავისუფლება ინდივიდის/საზოგადოების განვითარებისთვის?</p>	<p>რა გავლენა აქვს სიტყვას ადამიანზე?</p> <p>რატომ გამოხატავენ განსხვავებულად სათქმელს ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი ტექსტები?</p>	<p>როგორ გვეხმარება მუსიკა საკუთარი ემოციების/განწყობის გადმოცემაში?</p> <p>შეუძლია თუ არა მუსიკას ამბოხი? საზოგადოების ცხოვრებაზე ზემოქმედება?</p> <p>შეიძლება თუ არა მუსიკა თავისუფლების სიმბოლოდ/ჰიმნად იქცეს?</p>

	<p>როგორ შეიძლება თავისუფლების დაცვა? ვინ უნდა დაიცვას თავისუფლება? ვის აქვს თავისუფლების უფლება? ვისი ვალდებულებაა თავისუფლების დაცვა? ვისგან სჭირდება თავისუფლებას დაცვა? რატომ და როგორ უზრუნველყოფს დემოკრატიული სახელმწიფო საკუთარი მოქალაქეების თავისუფლებას.</p>	<p>შეიძლება თუ არა ტექსტმა გავლენა მოახდინოს ინდივიდის/ საზოგადოების ღირებულებების ჩამოყალიბებაზე? როგორ ეხმიანება სიტყვა ადამიანის შინაგან სამყაროს?</p>	
--	---	---	--

აქტივობა N, სახელი და ხანგრძლივობა	აქტივობის მიზანი	აქტივობის მსვლელობა	სასწავლო რესურსი
<p>N1</p> <p>გაკვეთილის მიზნის გაცნობა</p> <p>დრო: 2 წუთი</p>	<p>მოსწავლეები გაეცნონ გაკვეთილის მიზანს, გაუაქტიურდეთ წინარე ცოდნა</p> <p><i>(თუკი გაკვეთილი კომპლექსური დავალების ფარგლებში ტარდება, მოსწავლე ამავე ეტაპზე იხსენებს დავალების პირობას)</i></p>	<p>მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს, როგორც ზეპირად, ასევე, წერილობით; მაგ., წერს დაფაზე, ან ამობეჭდილი სახით ურიგებს, შემდეგ კი განვლილი მასალიდან სვამს რამდენიმე შეკითხვას:</p> <ul style="list-style-type: none"> • რატომ სჭირდებათ ერთმანეთი ინდივიდსა და საზოგადოებას? • რა გავლენა აქვთ ინდივიდსა და საზოგადოებას ერთმანეთზე? • როგორ აკმაყოფილებენ ერთმანეთის მოთხოვნებს ინდივიდი და საზოგადოება? <p>პასუხების მოსმენის პარალელურად მასწავლებელმა, შესაძლოა, დაფაზე დაწეროს მოსწავლეთა საკვანძო პასუხები.</p>	<p>დაფა, მარკერები</p>
<p>N2</p> <p>მუსიკის ემოციური ზეგავლენის გააზრება</p> <p>დრო: 15 წუთი</p>	<p>მოსწავლეები გაიაზრებენ სხვადასხვა შინაარსის გადმოსაცემად მუსიკისა და ტექსტის განსხვავებული გამომსახველობით</p>	<p>მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს იტალიური ფოლკლორული სიმღერის, „მშვიდობით, ლამაზო“, ორიგინალურ ვერსიას.</p> <p>ურიგებს მცირე ზომის ფერად ფურცლებს და სთხოვს, რამდენიმე სიტყვით აღწერონ საკუთარი შთაბეჭდილება/ემოცია სიმღერის ორიგინალური ვერსიის მოსმენის შემდეგ.</p> <p>შემდეგ ასმენინებს სიმღერის შეცვლილ ვერსიას და სთხოვს, რამდენიმე სიტყვით აღწერონ საკუთარი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ორიგინალური სიმღერა 2. შეცვლილი ვერსია 3. ნიაზ დიასამიძე და ხატია ქინქლამე თავისუფლება

	ი ხერხების გამოყენებას.	შთაბეჭდილება/ემოცია სიმღერის შეცვლილი ვერსიის მოსმენის შემდეგ. შემდეგ ასმენინებს ნიაზ დიასამიძისა და ხატია ქინქლამის შესრულებით სიმღერას „თავისუფლება“ და სთხოვს, რამდენიმე სიტყვით აღწერონ საკუთარი შთაბეჭდილება/ემოცია. <u>შენიშვნა:</u> სამივე სიმღერას მოსწავლეები მხოლოდ უსმენენ, მასწავლებელი გამოსახულებას არ აჩვენებს.	პატარა ფერადი ფურცლები ყოველი მოსწავლისთვის.
N3 სიმღერის ტექსტის გაცნობა დრო: 5 წუთი	მოსწავლეები გაეცნობიან სამივე სიმღერის ტექსტს და შეაფასებენ სამივეს მთავარ სათქმელს.	მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფს ურიგებს სიმღერის – „მშვიდობით, ლამაზო“ – ორივე ვერსიის ტექსტს ინგლისურ და ქართულ ენებზე, სიმღერის ორივე ვერსიის შექმნის მცირე ისტორიას და ნიაზ დიასამიძის სიმღერის ტექსტს და სთხოვს, გაეცნონ.	დანართი N1 – სამივე სიმღერის ტექსტი
N4 დისკუსია დრო: 10 წუთი	მოსწავლეები იმსჯელებენ მელოდიის/ტექსტის მნიშვნელობაზე ადამიანის/საზოგადოების ცალკეული მოვლენების/იდეების მიმდინარეობისა და განვითარებისას.	მასწავლებელს წინასწარ მომზადებული აქვს სადისკუსიო კითხვები, რომელსაც მოსწავლეებთან ერთად განიხილავს „აკვარიუმის“ მეთოდით. სასურველია, სადისკუსიო კითხვები გაკვეთილის საკვანძო შეკითხვებიდან შეირჩეს: მასწავლებელი მოსმენილთან, წაკითხულთან დაკავშირებით სვამს შემდეგ საორიენტაციო კითხვებს: <ul style="list-style-type: none"> • რა ჟანრის მუსიკა მოვისმინეთ? • რა ხერხებით/როგორ გამოხატავს ავტორი სათქმელს? • რას იტყობით სიმღერების მელოდიაზე, რიტმზე, მეტრზე, ჰარმონიაზე, ფორმაზე? 	აქტივობის ჩატარების ინსტრუქცია 

		<ul style="list-style-type: none"> • რა არის სიმღერების მთავარი სათქმელი? პასუხი დაასაბუთეთ. • რა როლს შეასრულებდა ეს სიმღერები ადამიანების ცხოვრებაში, მათ მოტივაციაში? • როგორ გვეხმარება მუსიკა საკუთარი ემოციების/განწყობის გადმოცემაში? • შეუძლია თუ არა მუსიკას ამბოხი? საზოგადოების ცხოვრებაზე ზემოქმედება? • შეიძლება თუ არა მუსიკა/ტექსტი თავისუფლების სიმბოლოდ/ჰიმნად იქცეს? • რა გავლენა აქვს სიტყვას ადამიანზე? • რატომ გამოხატავენ განსხვავებულად სათქმელს ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი ტექსტები? • შეიძლება თუ არა ტექსტმა გავლენა მოახდინოს ინდივიდის/ საზოგადოების ღირებულებების ჩამოყალიბებაზე? • როგორ ეხმარება სიტყვა ადამიანის შინაგან სამყაროს? <p><i>მასწავლებელი მოსწავლეებს ორ - შიდა და გარე წრეში ანაწილებს, სადაც მხოლოდ შიდა წრეში მსხდომთ შეუძლიათ საკუთარი მოსაზრების გამოთქმა, თუმცა ნებისმიერ მოსწავლეს, რომელიც გარე წრეში ზის, შეუძლია მხარზე შეეხოს შიდა წრეში მჯდომს და ადგილი გაუცვალოს.</i></p>	
<p>N4 პრეზენტაცია დრო: 10 წუთი</p>	<p>მოსწავლეები განსაზღვრავენ თავისუფლების „ადგილსამყოფელს“, მის მნიშვნელობას ინდივიდის/საზოგ</p>	<p>მასწავლებელი მოსწავლეებს უზიარებს მარიამ გვარამიას სტატიას („რა არის თავისუფლება?“), ასევე ამონარიდებს საქართველოს კონსტიტუციიდან.</p> <p>სთხოვს, წაიკითხონ და გაიაზრონ სტატია და ამონარიდები და ქვემოთ მოცემული საკვანძო კითხვების დახმარებით 4-კაციან</p>	<p>დანართი N2 – მარიამ გვარამია რა არის თავისუფლება?</p> <p>დანართი N3 – ამონარიდები</p>

	ადლების განვითარებისთვის . დაფიქრდებიან თავისუფლების დაცვის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე.	<p>ჯგუფებში მოამზადონ 2 წუთიანი პრეზენტაცია თავისუფლების შესახებ:</p> <ul style="list-style-type: none"> • რა არის თავისუფლება? • სად არის თავისუფლება? • მნიშვნელოვანია თუ არა თავისუფლება ინდივიდის/საზოგადოების განვითარებისთვის? • როგორ შეიძლება თავისუფლების დაცვა? • ვინ უნდა დაიცვას თავისუფლება? • ვის აქვს თავისუფლების უფლება? • ვისი ვალდებულებაა თავისუფლების დაცვა? • ვისგან სჭირდება თავისუფლებას დაცვა? • რატომ და როგორ უზრუნველყოფს დემოკრატიული სახელმწიფო საკუთარი მოქალაქეების თავისუფლებას? 	საქართველოს კონსტიტუციიდან.
N5 შეჯამება დრო: 3 წუთი	განვლილი მასალის შეჯამება	<p>მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, პატარა წებოვან ფურცლებზე ერთი წინადადებით დაწერონ საკუთარი მოზარება იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დავიცვათ თავისუფლება და მიაკრან ფლიფჩარტზე.</p> <p>შეჯამებისას მასწავლებელმა ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ თავისუფლების დასაცავად, გარდა სამართლებრივი დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა, მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქის ინდივიდუალური მორალური პასუხისმგებლობა.</p>	ფლიფჩარტის ქალაქი, პატარა წებოვანი ფურცლები

დამატებითი რესურსები: „ადამიანის უფლებების იდეა და წყარო“ <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-11>

„ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შინაარსი“ <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-13>

გოდერძი ჩოხელი „ცასწავალა“

რიჩარდ ბახი „თოლია ჯონათან ლივინგსტონი“

სიმღერა [კედელი](#)

სიმღერის ტექსტი: <http://www.pink-floyd-lyrics.com/html/another-brick-in-the-wall-lyrics.html>

<p>We don't need no education We don't need no thought control No dark sarcasm in the classroom Teachers leave them kids alone Hey, teachers, leave them kids alone All in all it's just another brick in the wall All in all you're just another brick in the wall</p>	<p>ჩვენ არ გვჭირდება განათლება, ჩვენ არ გვჭირდება ფიქრების კონტროლი, არც ბნელი სარკაზმი კლასში. მასწავლებლო თავი დაანებე ბავშვებს, ჰეი, თავი დაანებე ბავშვებს. ის კედლის მხოლოდ ერთი აგურია, ის კედლის მხოლოდ ერთი აგურია.</p>
<p>We don't need no education We don't need no thought control No dark sarcasm in the classroom Teachers leave those kids alone Hey teachers, leave those kids alone All in all you're just another brick in the wall All in all you're just another brick in...</p>	<p>ჩვენ არ გვჭირდება განათლება, ჩვენ არ გვჭირდება ფიქრების კონტროლი, არც ბნელი სარკაზმი კლასში. მასწავლებლო თავი დაანებე მაგ ბავშვებს, ჰეი, თავი დაანებე მაგ ბავშვებს. თქვენ კედლის მხოლოდ ერთი აგური ხართ, თქვენ კედლის მხოლოდ ერთი აგური ხართ...</p>

კომპლექსური დავალების პირობა

ცნება: ინდივიდი და საზოგადოება

წარმოიდგინეთ, რომ ჟურნალისტი ხართ და გაქვთ მოსამზადებელი **სტატია**, რომლის საშუალებითაც ინფორმაციას მიაწვდით მკითხველს ინდივიდისა და საზოგადოების ცხოვრებაში თავისუფლების მნიშვნელობაზე.

სტატიაში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- როგორია თავისუფლების ისტორიული ხედვა?
- რა გავლენა აქვს თავისუფლებას ინდივიდისა და საზოგადოების განვითარებაზე?
- ვინ და როგორ უნდა დაიცვას თავისუფლება?

დანართი N 1

"Bella ciao" – „მშვიდობით, ლამაზო“

მე-19 საუკუნის მიწურულის იტალიური ხალხური პროტესტის გამომხატველი სიმღერა, რომლითაც გლეხები გამოხატავდნენ თავიანთ პროტესტს ჩრდილოეთ იტალიაში ბრინჯის ყანებში მუშაობის აუტანელი პირობების გამო, 1943–45 წლებში ფაშიზმის წინააღმდეგ იტალიური პარტიზანული წინააღმდეგობის მოძრაობის ჰიმნად იქცა ნაცისტური ჯარების მიერ იტალიის ოკუპაციისას.

სიმღერის ვერსიებს მთელ მსოფლიოში მღერიან, როგორც თავისუფლებისა და წინააღმდეგობის მოძრაობის ანტიფაშისტურ ჰიმნს.

ორიგინალური ვერსია

სიმღერის [ბმული](#):

სიმღერის ტექსტი: https://en.wikipedia.org/wiki/Bella_ciao#Mondine_version

<p>In the morning I got up oh bella ciao, bella ciao, bella ciao, ciao, ciao (Goodbye beautiful)</p>	<p>ერთხელ დილით გავიღვიძე, ო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ჩაო, ჩაო (მშვიდობით ლამაზო)</p>
<p>In the morning I got up To the paddy rice fields, I have to go.</p>	<p>ერთხელ დილით გავიღვიძე ბრინჯის ყანაში უნდა წავსულიყავი.</p>
<p>And between insects and mosquitoes oh bella ciao, bella ciao, bella ciao, ciao, ciao and between insects and mosquitoes a hard work I have to work.</p>	<p>მწერებსა და კოლოებს შორის, ო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ჩაო, ჩაო. მწერებსა და კოლოებს შორის, მძიმე შრომა მელის.</p>
<p>The boss is standing with his cane oh bella ciao, bella ciao, bella ciao, ciao, ciao the boss is standing with his cane and we work with our backs curved.</p>	<p>უფროსი ხელჯოხით გვადგას თავზე, ო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ჩაო, ჩაო, უფროსი ხელჯოხით გვადგას თავზე, ჩვენ კი შრომით წელში ვწყდებით.</p>
<p>Oh my god, what a torment oh bella ciao, bella ciao, bella ciao, ciao, ciao oh my god, what a torment as I call you every morning.</p>	<p>ღმერთო, რა სატანჯველია, ო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ჩაო, ჩაო, ღმერთო, რა სატანჯველია, ყოველ დილით გიხმობ.</p>
<p>And every hour that we pass here oh bella ciao, bella ciao, bella ciao, ciao, ciao and every hour that we pass here we lose our youth.</p>	<p>ყოველი აქ გატარებული საათი, ო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ჩაო, ჩაო, ყოველი აქ გატარებული საათი ახალგაზრდობას გვაკარგვინებს.</p>
<p>But the day will come when us all oh bella ciao, bella ciao, bella ciao, ciao, ciao but the day will come when us all will work in freedom.</p>	<p>მაგრამ დადგება დრო, როცა ყველა, ო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ჩაო, ჩაო, მაგრამ დადგება დრო, როცა ყველა თავისუფლებაში ვიმშრომებთ.</p>

შეცვლილი ვერსია

სიმღერის [ბმული](#):

სიმღერის ტექსტი: <https://lyricstranslate.com/en/Bella-ciao-Goodbye-my-Beautiful-my-LOve.html>

<p>One morning I awakened, oh bella ciao, bella ciao, bella ciao, ciao, ciao! (<i>Goodbye beautiful</i>) One morning I awakened And I found the invader.</p> <p>Oh partisan carry me away, oh bella ciao, bella ciao, bella ciao, ciao, ciao oh partisan carry me away Because I feel death approaching.</p> <p>And if I die as a partisan, oh bella ciao, bella ciao, bella ciao, ciao, ciao and if I die as a partisan then you must bury me.</p> <p>Bury me up in the mountain, oh bella ciao, bella ciao, bella ciao, ciao, ciao bury me up in the mountain under the shade of a beautiful flower.</p> <p>And all those who shall pass, oh bella ciao, bella ciao, bella ciao, ciao, ciao and all those who shall pass will tell me "what a beautiful flower."</p> <p>This is the flower of the partisan,</p>	<p>ერთხელ დილით გავიღვიძე, ო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ჩაო, ჩაო! (ნახვამდის ლამაზო) ერთხელ დილით გავიღვიძე და დამპყრობელი დავინახე.</p> <p>პარტიზანო, წამიყვანე აქედან, ო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ჩაო, ჩაო. ო, პარტიზანო, წამიყვანე აქედან, რადგან სიკვდილის მოახლოებას ვგრძნობ.</p> <p>თუ მოკვდები, როგორც პარტიზანი, ო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ჩაო, ჩაო, თუ მოკვდები, როგორც პარტიზანი, უნდა დამმარხო.</p> <p>დამმარხეთ მთაზე, ო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ჩაო, ჩაო, დამმარხეთ მთაზე, ლამაზი ყვავილის ჩრდილში.</p> <p>და ყველა, ვინც ჩაივლის, ო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ჩაო, ჩაო, და ყველა, ვინც ჩაივლის, მეტყვის, „რა ლამაზი ყვავილია“.</p> <p>ეს პარტიზანის ყვავილია,</p>
---	--

oh bella ciao, bella ciao, bella ciao, ciao, ciao this is the flower of the partisan who died for freedom.	ო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ბელა ჩაო, ჩაო, ჩაო, ეს პარტიზანის ყვავილია, რომელიც თავისუფლებისთვის მოკვდა.
--	---

ნიაზ დიასამიძე „თავისუფლება“

სიმღერის [ბმული](#):

სიმღერის ტექსტი:

თავზე მოხვეულ თვისებებს ვკარგავ,

თვალეში მშვიდად მიყურებს ღამე.

როგორც ცოცხალს მიყურებს საგანს,

თავზე მოხვეულ თვისებებს ვკარგავ.

თავისუფლება, თავისუფლება.

გზა არასოდეს მიგვიყვანს სახლთან,

შევწირები მე გულწრფელ განცდას.

ხელები მიმაქვს საწოლის თავთან.

თავისუფლება, თავისუფლება.

მე ჩემს თავს უფრო ძლიერად ვთვლიდი,

მარტო ყოფნისას მარტოდ არ ვთვლიდი.

თავისუფლება, თავისუფლება.

მისამღერი

თავზე მოხვეულ თვისებებს ვკარგავ,

თვალეზში მშვიდად მიყურებს ღამე. (2-ჯერ)

ვინ გამოხვედი, ანდა რას ქმნიდი. (2-ჯერ)

თავისუფლება, თავისუფლება.

მისამღერი

დანართი N 2

რა არის თავისუფლება?

იანვარი 11, 2016

ავტორი: მარიამ გვარამია

თითქოს ყველამ ვიცით, რაც არის, რატომ არსებობს და რა გვინდა მისგან, მაგრამ საბოლოოდ მაინც ყველა ვთანხმდებით, რომ ის იმდენად ზოგადია, იმდენად კონკრეტულიც, იმდენად აბსტრაქტული, რომ ამოუწურავად შეიძლება მასზე საუბარი.

მე არ მოვიყვან ცნობილი ადამიანების ფრაზებს, ციტატებს, რადგან ისინი უკვე იმდენჯერ თქმულა, რომ ცოტათი მოსაბეზრებელიც კია.

მე ახლა ვსაუბრობ, თქვენ მისმენთ. მე ჩემს თავისუფლებას ვიყენებ, იმისთვის რომ თქვენი შევზღუდო. როგორ და რატომ? განა, ხართ კი თქვენ ვალდებული, მე მისმინოთ?! განა, თქვენს ნება-სურვილზეა არაა დამოკიდებული დარჩებით აქ თუ გახვალთ გარეთ და შეყვარებულებთან ისეირნებთ. განა მე მოსმენის თავისუფლებას არ გიზღუდავთ?! მოისმინეთ ის, რაც გინდათ და არა თავს მოხვეული ჩემი სიტყვები გაცვეთილ თემაზე.

როცა მე ვარ მხოლოდ ჩემი თავის ბატონი და არავინ სხვა, ყველა ინდივიდი საკუთარი თავის ბატონია(გარკვეული ასაკიდან გარკვეულ ასაკამდე). და თუ ეს ასეა, მაშინ ყველამ სათითოდ უნდა ვაგოთ ჩვენს ცოდვებზე პასუხი და მას სხვებს ნუ ავკიდებთ... ამით ჩვენ თავისუფლები გავხდებით იმდენად, რამდენადაც ამის უფლებას საკუთარი თავი მოგვცემს.

ვიდაცისთვის - მრუშობა, ბილწი აზროვნება, აღვირახსნილი ქმედება და უკანონობა... ფანჯარასაც რომ ჩაუმტვრევ კანონმორჩილ მეზობელს, ესეც თავისუფლებაა - ოღონდ სხვისი გაგებით...

მასისთვის - „შენი უფლებები მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი უფლებები“ (რადგან ეს პოპულარულია)

ჩემთვის - განსაზღვრული არ მაქვს სამწუხაროდ ჯერ კიდევ თუ რა არის თავისუფლება... მეგონა განსაზღვრულ ასაკში მივხვდებოდი (18)... ასაკმა ამჯერად თავისი არ ქნა... არ ვნებ სხვებს, თუ არ მვნებენ მე - ამას იმიტომ ვამბობ, რომ

დარწმუნებული არ ვარ ჩემს თავისუფლებაში. დარწმუნებული ვარ მხოლოდ ჩემს მოვალეობებში, რომელიც არასდროს გადავა სხვისაში.

იცი რომ წარმომიდგენია თავისუფალი სამყარო?! - ადამიანები, რომლებიც ბუმტებში სხედან და ისე მოძრაობენ. ეს არის მათი თავისუფალი სამყარო. ისინი შეზღუდულებიც არიან, მაგრამ არა ძლიერად... რადგან როცა სხვის ბუმტში იწყებენ მოძრაობას - ის სკდება.

მთებში ბუმტები არ არის - იქ ისედაც დიდი სივრცე აქვთ, მაგრამ ჩემთვის „მხოლოდ“ არც მთებშია თავისუფლება...

თავისუფლება თითოეულ ჩვენგანშია - ოღონდ განსხვავებული, განსაკუთრებული...

მე მინდა სამყარო, სადაც ბუმტების ფერებს თავად ავარჩევ!

თავისუფლება ჩემზეა!

დანართი N 3


ამონარიდები „საქართველოს კონსტიტუციიდან“

„სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან“ (მუხლი 4, პუნქტი 2).

1. ადამიანის თავისუფლება დაცულია.

2. თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით (მუხლი 13. პუნქტი 1, 2).

გაკვეთილი 5. „ოჯახი“

გაკვეთილი, შეიძლება, ცალკეც ჩატარდეს - დამოუკიდებელ გაკვეთილად, თუმცა, შესაძლოა, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას ერთ-ერთ ეტაპადაც გამოიყენოთ. 

საგანი	მოქალაქეობა	ისტორია	ქართული ენა და ლიტერატურა
კლასი	IX კლასი		
თემა	ინდივიდი და საზოგადოება (თემი, რომელშიც ვცხოვრობთ)	ღირებულებები და დამოკიდებულებები	ადამიანი და მისი ცხოვრება (ადამიანის შინაგანი სამყარო)
საკითხი	ოჯახის როლი		
გაკვეთილის მიზანი	<p>მოსწავლეები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეძლებენ საკუთარი თავის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (მაგ., ოჯახის) წევრად აღქმას. 	<ul style="list-style-type: none"> • შეაფასებენ ისტორიულ მოვლენებსა და პროცესებს კონკრეტულ ეპოქაში მცხოვრები ადამიანების თვალთ. 	<ul style="list-style-type: none"> • შეაფასებენ ტექსტს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ტექსტის მიმართ გამოხატავენ და ახსნიან პირად დამოკიდებულებას.
საკვანძო შეკითხვა	რა გავლენა აქვს ისტორიულ კონტექსტს ოჯახის არსისა და ფუნქციების გააზრებაზე?	რატომ უნდა გავითვალისწინო ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების შეფასებისას ისტორიული გარემო (კონტექსტი), რომელსაც ისინი უკავშირდება?	როგორ მეხმარება კონტექსტის ცოდნა ნაწარმოების უკეთ გაგებაში?

აქტივობა N, სახელი და ხანგრძლივობა	აქტივობის მიზანი	აქტივობის მსვლელობა	სასწავლო რესურსი
<p>N1 გაკვეთილის მიზნის გაცნობა</p> <p>დრო: 2 წუთი</p>	<p>მოსწავლეები გაეცნონ გაკვეთილის მიზანს, გაუაქტიურდეთ წინარე ცოდნა</p>	<p>მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს, როგორც ზეპირად, ასევე, წერილობით; მაგ., წერს დაფაზე, ან ამობეჭდილი სახით ურიგებს. შემდეგ კი განვლილი მასალიდან სვამს რამდენიმე შეკითხვას.</p> <p>პასუხების მოსმენის პარალელურად, მასწავლებელმა შესაძლოა, დაფაზე დაწეროს მოსწავლეთა საკვანძო პასუხები.</p>	<p>დაფა, მარკერები</p>
<p>N2 გონებრივი იერიში</p> <p>დრო: 5 წუთი</p>	<p>მოსწავლეთა დაფიქრება, თემის მოთელვა და განსხვავებული მოსაზრებების თავმოყრა</p>	<p>მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვა „ოჯახს“ და სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ ნებისმიერი ემოცია, რომელიც გაახსენდებათ.</p>	<p>დაფა/პოსტერი, ცარცი/მარკერი</p>
<p>N3 როლური თამაში</p> <p>დრო: 15 წუთი</p>	<p>მოთხრობის გაცნობა და ჩანაწერების გაკეთება.</p>	<p>მასწავლებელი კენჭისყრით შერჩეულ 4 მოსწავლეს ურიგებს რ. ინანიშვილის მოთხრობის ჩიტების გამომზამთრებელი“ ასლებს. უნაწილებს ავტორისა მოთხრობის პერსონაჟების როლებს - დედა, მამა, ბიჭი და სთხოვს წაკითხონ მოთხრობა. დანარჩენები მოთხრობის ციფრულ ვერსიას პარალელურად ეკრანზე კითხულობენ. მოსმენისა და კითხვის დასრულების შემდეგ მოსწავლეები</p>	<p>მოთხრობის ბმული</p> <p>მოთხრობის 4 ასლი 4 მოსწავლისთვის, თაბახის ფურცლები ყოველი მოსწავლისათვის.</p>

		<p>აკეთებენ ჩანაწერებს მათთვის მნიშვნელოვანი მომენტების შესახებ.</p> <p><i>შენიშვნა:</i> ალტერნატიულ ვერსიად შეიძლება მოთხრობის აუდიოჩანაწერის მოსმენა.</p>	
<p>N4</p> <p>დამოუკიდებელი ჯგუფური სამუშაო</p> <p>დრო: 5 წუთი</p>	<p>ტექსტზე დაყრდნობით მოთხრობის პერსონაჟების დახასიათება</p>	<p>მასწავლებელი მოსწავლეებს 3 ჯგუფად ყოფს და სთხოვს დაახასიათონ მოთხრობის პერსონაჟები შეთავაზებული ცხრილის მიხედვით.</p> <p>ჯგუფის წარმომადგენელი აზიარებს ჯგუფის მოსაზრებას პრეზენტაციის სახით.</p>	<p>დანართი N1</p>
<p>N4</p> <p>მსჯელობა</p> <p>დრო: 10 წუთი</p>	<p>მოსწავლეები გაიაზრებენ ოჯახის როლს ინდივიდისა და საზოგადოების განვითარებაში, ეპოქის/რეჟიმის გავლენას ოჯახის ფუნქციონირებაზე.</p>	<p>მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმსჯელონ შემდეგი საორიენტაციო კითხვების ირგვლივ:</p> <ul style="list-style-type: none"> • რა ემოციები და ფიქრები გაგიჩნდათ? • გამოკვეთილად რა დაგამახსოვრდათ? რატომ? • რა პრობლემას ხედავთ? • რაში/რომელ პერსონაჟში ხედავთ პრობლემის მიზეზს? • როგორია პრობლემის მასშტაბი - მხოლოდ ინდივიდს ეხება, მხოლოდ საზოგადოებას თუ ორივეს? • რა როლი აქვს ოჯახს პიროვნების განვითარებაში? • რას ეფუძნება ან უნდა ეფუძნებოდეს ოჯახი? • რა გავლენას ახდენს ისტორიული ეპოქა (ამ შემთხვევაში ტოტალიტარული რეჟიმი) ოჯახის ცხოვრების წესზე? 	<p>დაფა/პოსტერი, ცარცი/მარკერი</p>

		<ul style="list-style-type: none"> • რა გავლენა აქვს სხვადასხვა დონეზე (სახელმწიფო, სკოლა, ოჯახი) ძალადობას პიროვნების განვითარებაზე? • როგორ შეიძლება გაგრძელდეს/განვითარდეს ოჯახის წევრთა მომავალი ურთიერთობა/ცხოვრება? • როგორ აღწერს ავტორი რეჟიმს? მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები. • გაიხსენეთ გონებრივი იერიშის დროს სიტყვა ოჯახის შესახებ ასოციაციები, გიჩნდებათ თუ არა იგივე ასოციაციები მოთხრობაში აღწერილი ოჯახისადმი? რატომ? <p>მასწავლებელი დაფაზე წერს საკვანძო მოსაზრებებს.</p>	
N5 შეჯამება დრო: 3 წუთი	გაკვეთილის შეჯამება	<p>მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, პატარა წებოვან ფურცლებზე ერთი წინადადებით დაწერონ ერთი ფიქრი, რომელიც გაკვეთილიდან მიაქვთ და მიაკრან ფლიფჩარტზე.</p> <p>შეჯამებისას მასწავლებლმა ხაზი უნდა გაუსვას ოჯახის როლსა და გავლენას როგორც პიროვნების, ასევე საზოგადოების განვითარებაში და თითოეული მოქალაქის მიერ ინდივიდუალური მორალური პასუხისმგებლობის ზიდვის მნიშვნელობას.</p>	ფლიფჩარტის ქაღალდი, პატარა წებოვანი ფურცლები

დამატებითი რესურსები:⁷

- ჯანელიძე ნანა, „ოჯახი“ (1985) მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი <https://georgian-cinema.ge/index.php/ge/2015-03-27-12-14-46/589-1985-12>
- ცინცაძე დიტო, „ოჯახი“ (2017) https://www.youtube.com/watch?v=j_j6u4z5PbY&t=1725s

კომპლექსური დავალების პირობა

ცნება: ინდივიდი და საზოგადოება

წარმოიდგინეთ, რომ წერთ **ბლოგს**, რომლის საშუალებითაც ინფორმაციას მიაწვდით მკითხველს **ოჯახის წარსულსა და აწმყოზე, მის მნიშვნელობაზე ინდივიდისა და საზოგადოებისთვის.**

ნაშრომში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- როგორია ოჯახის თქვენეული ხედვა?
- როგორია ოჯახის ისტორიული განვითარება?
- რა გავლენა აქვს ოჯახს ინდივიდისა და საზოგადოების განვითარებაზე?
- ვისგან და როგორი მხარდაჭერა სჭირდება ოჯახს, როგორც ინსტიტუციას?

⁷ ამ რესურსების გამოყენებით სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში გაკვეთილის ინტეგრირება შესაძლებელია სახვით და გამოყენებით ხელოვნებასთან.

დანართი N 1 მოთხრობის პერსონაჟის დახასიათება⁸

რა თვისებებით გამოირჩევა პერსონაჟი?

რას ამბობს პერსონაჟი ყველაზე დაძაბულ სიტუაციაში?

რას განიცდის, როცა თავად მოქმედებს ან მასზე მოქმედებენ?

რა არის პერსონაჟის ყველაზე გამორჩეული მახასიათებელი?

როგორ ახასიათებს სხვა პერსონაჟი ან ავტორი?

⁸ პერსონაჟის დახასიათების ცხრილი აღებულია ნ. ხაზარაძის გაკვეთილიდან „ბრბოს ფსილოქოგია და მოკვეთილი პიროვნება“
<https://medialiteracy.ge/en/resources/id/72/brbos-fsiqologia-da-mokvetili-pirovneba>

დაახასიათეთ, თქვენ რა თვისებები დაინახეთ პერსონაჟში?

მუშაობის დასრულების შემდეგ ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციას.